სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 5 (4526) • 9 მარტი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გაზაფხულის მზეო, სულ იჩახჩახეო!

ნომრის სტუმარია თბილისის 61-ე საჯარო სკოლა

ზეაღმტაცი სიხარულის მოლოდინში

ზეაღმტაცი და მძაფრია სასიხარულო სიახლის მოლოდინი! ოპტიმიზმით აღგავსებთ, მხნეობას შეგმატებთ, გმირული შრომისთვის განგაწყობთ. ახლო მომავალში სწორედ ასეთი განცდა დაეუფლებათ **61-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.** როგორ? როგორ და „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა!“ ორი წელია, ავარიული შენობა სახელოვანი სკოლისა დაინგრა. პედაგოგები და მოსწავლეები **დოლიძის ქუჩის №3-დან, კოსტავას 71-ში ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსს** შეეხიზნენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოპერატიული გადაწყვეტილებით მოკლე ხანში ყოფილ ტერიტორიაზე სკოლის ახალი, კომფორტული შენობა წამოიმართება. უკვე რამდენიმე თვეა დაიწყო ინტენსიური მშენებლობა შენობისა და ტემპი არ შენელებულა. სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები, მათი მშობლები დიდ მადლობას უხდიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ სიკეთისათვის.

მუდამ ძალაში აქ იქნება ბრძენკაცის ცნობილი შეგონება: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს“.** ამ სკოლაში ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ და ბეჯითად ზრუნავენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლება-ეფექტიანობისათვის. ზრუნავენ და აღწევენ კიდევაც სასიხარულო შედეგებს. სკოლას ხელმძღვანელობს გამოცდილი, ერუდირებული, შემოქმედი დირექტორი **შორენა ღუდუშაური**. მას მხარს უმშვენებენ გამობრძმედილი პროფესიონალები – მოადგილე **მადინა ბაღდავაძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსახურებული, საგანმანათლებლო სივრცეში ყველასთვის ცნობილი პედაგოგი **იზოლდა ბენდელიანი**.

მოსწავლეთა თვითმმართველობის თავკაცი **ლუკა ბაღდავაძე** კი თანატოლებთან ერთად სკოლაში საინტერესო, მჩქეფარე საქმიანობას უძღვება.

ყველა წარმატების თავი და თავი ხომ მაინც ძლიერი პედაგოგები არიან. ჰოდა, გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს. სერთიფიცირებული მასწავლებლები არიან: **იამზე ბუჩუკური, მარი ჯიჯგიეშვილი, ნუნუ ნებიერიძე, ია გაგუა, ქეთი გიორგაძე, ნანა გაფრინდაშვილი, ნანა სვანიძე, მანანა მამაცაშვილი, მანანა დვალი, მადონა ძნელაძე, ელისაბედ ჯერენაშვილი, ანა ლეჟავა, სოფიო ქსოვრელი**. სერთიფიცირებული **ია ბუჩუკური** 1000 ლარიანი ხელფასის მქონე პედაგოგია, **მარინე ნიკოლაიშვილი** კი მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ.

საგნობრივი კათედრების კარგი მუშაობა პირდაპირპროპორციულია სწავლების მაღალი ხარისხისა. ამ მხრივ საქმე დიდებულადაა. კათედრებს ჩინებული პედაგოგები ხელმძღვანელობენ: სახელმწიფო ენისას (ე. ი. ქართულისას) – **მარიამ ჯიჯგიეშვილი**, მათემატიკისას – **ქეთი გიორგაძე**, საბუნებისმეტყველოს – **ფლორენცია ქორიძე**, დაწყებითებისას – **ია გაგუა**, უცხოური ენებისას – **ია იაკობაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას – **ნინო გელბახიანი**, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდისას – **რ. იაკობაშვილი**.

თუ შენი აღსაზრდელები სწავლაში წარჩინებულნი არიან, აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ შემეცნებით-შემოქმედებით აქტივობებში, ბრწყინვალე პედაგოგი ყოფილხარ. ეს მართლაც ასეა: წელს ინგლისური ენის ოლიმპიადაში გვასახელა მე-11 კლასელმა – **ნინო ტაბატაძემ** (მასწავლებელი – **თინათინ გზირიშვილი**), ქართულში – **ნინო გეგენავამ** (**ეკატერინე მდივანი**). **„კინგსის“**, **„ევერესტისა“** და **„რობინსონის“** ოლიმპიადებზე არაერთი გამარჯვებულია. შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში **„კვლევები მოსწავლეების მონაწილეობით“** ორჯერ მოიპოვეს გრანტი ბიოლოგიის მასწავლებლის **მარინე ნიკოლაიშვილის** ხელმძღვანელობით.

სკოლის ბიბლიოთეკარის ინიციატივით, მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება. პოპულარულნი არიან საგნობრივი წრეები – **ინგლისურის, რუსულის, ჭადრაკის, კუნგ-ფუსი**. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი ხომ ნაყოფიერად მუშაობს.

სკოლას დიდი სახელი შეუქმნეს ღვაწლმოსილმა მასწავლებლებმა: **ი. გაბუნიამ, ი. გედენიძემ, ფ. ქორიძემ, მ. ლეჟავამ, ლ. მიმინოშვილმა, ლ. გოძიაშვილმა, ი. კალმახელიძემ, ნ. ახვლედიანმა, ი. ბენდელიანმა, ნ. თოფურიამ, ნ. ესაკიამ, მ. გელაშვილმა, ლ. მეგრელიშვილმა** და სხვებმა. მათ გზას ღირსეულად აგრძელებენ სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული ახალგაზრდა, კვალიფიცირებული მასწავლებლები.

სკოლა ასევე ასახელეს: **ნინო მუჯირიშვილი-ნემსაძემ** (IX კლასი – სიმღერის საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული); **თამარ ჭანტურიამ** (XII კლასი – FLEX-ის პროგრამაში გამარჯვებული, სწავლობს აშშ-ში).

სადამრიგებლო პროგრამატრთან. უკვე რამდენიმე წელია I-XI კლასელებისთვის აჩვენებენ სპექტაკლებს. ეწყობა სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ექსკურსიები ქალაქგარეთ.

გამარჯვებულები, წარმატებებით ხელდამშვენებულნი, ღირსეულად აპირებენ მასწავლებლები და მოსწავლეები ახალი სკოლის შენობაში შესვლას. იმ დღეს გულისფანცქალით ელოდებიან.

ყველა ოცნება კეთილად აგსრულებოდეთ, 61-ე სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

თბილისის მე-14 საჯარო სკოლაში

ჩოკა დირექტორი გამოცდილია

მუდმივად გამოცდილი ხელმძღვანელები და ძლიერი პედაგოგები დაებედა ამ, სახელოვან სკოლას. იგი გაისად იუბილარი გახდება – 65 წლისა. ამიტომ იმ სკოლათა რიგებში მოვიაზრებთ, ვინც საკუთარი მატიანე წიგნად უნდა აკინძოს, როგორც ეს მისმა მეზობელმა მე-11 სკოლამ გააკეთა. დიახ, ყოფილი დირექტორის **რომან მოსეშვილისა** განათლების სამინისტროს მაშინდელი მთავარი სპეციალისტის, აწგანსვენებული **ჰამლეტ ჩხენკელის** ავტორობით გამოიცა დიდებული წიგნი: **„დედაქალაქის მე-11 – გუშინ, დღეს... რა იქნება ხვალ?“**

მე-14 სკოლას დღეს წარმატებით უძღვება გამოცდილი, ინიციატივიანი, 154-ე სკოლაში პედაგოგად და 148-ე სკოლის დირექტორად მუშაობისას წრთობამიღებული პროფესიონალი **მაკა გიორგაძე**. მასთან საუბრის მოკლე შინაარსი ასეთია:

* * *

სკოლაში ძლიერი, შემოქმედი მასწავლებლები მოღვაწეობენ. ყველა თანამშრომლის ძალისხმევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული და მაღალ შედეგებზე ორიენტირებულია. მიზნის მისაღწევად ენერგიულად იღვწიან: დირექტორის მოადგილე, ქიმიის ჩინებული პედაგოგი **მაია ლომიძე**, **ირმა მაისურაძე** – სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, **ნინო ოქრიაშვილი** – მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერი. სწავლების ხარისხის ამაღლების მეთოდურ შტაბს – საგნობრივ კათედრებს უნარიანად უძღვებიან გამოცდილი ხელმძღვანელები: ქართული ენა-ლიტერატურისას – **მზია არსენიშვილი**, მათემატიკის – **თამარ წიქორიძე**, უცხოური ენების – **ნათელა ბერაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების – **შორენა სამაკაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **ნათია მეტრეველი**, დაწყებითი საფეხურის და ტექნოლოგიების – **ნათია მირუაშვილი**, ესთეტიკური აღზრდის და სპორტისას – **ნანა თევზაძე**. სკოლამ 2011-2015 წლებში მედალოსანი გამოუშვა, ხოლო შარშან **ვალერი გელოვანმა** ოქროს და **სოფიო მოწონელიძემ** ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. სტუდენტობისას 100%-იანი გრანტის მფლობელი გახდა 15 კურსდამთავრებული. ეს დიდი მიღწევაა. სკოლაში მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობების მხრივ საამაყო ვითარებაა, რაც პედაგოგთა სანიმუშო, ნაყოფიერ მოღვაწეობაზე მეტყველებს. აი, სურათი: **საბა ბაგაურმა** (მე-IX² კლასი) გაიმარჯვა ესეების კონკურსში და „ახმეტელის“ თეატრში დაიდგა მისი ნაწარმოები.

სკოლას ჰყავს სატელევიზიო პროექტ „ეტალონში“ გამარჯვებული **ბექა მეგრელიშვილი**. ისწავლება **ფრანგული** და **ჩინური ენები** (საფრანგეთის და ჩინეთის საელჩოებთან დადებულია მემორანდუმი). ჩატარდა საქველმოქმედო აქცია **„გახდი ქველმოქმედი“**, შეაგროვეს სურსათი და გადასცეს თემქის მოხუცებულთა სახლს, მოხუცებულებს ჩაუტარეს კონცერტი.

სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სასკოლო ოლიმპიადაში აქტიურად არიან ჩართულები 10-11-12 კლასის მოსწავლეები. მასიურია ჩართულობა **„კინგსის“**, **„ევერესტის“**, **„გაუ ჩელენგის“**, **„კენგურუს“** და სხვა კონკურსებში, სადაც მოსწავლეები უხვად აგროვებენ დიპლომებს, სერთიფიკატებს.

მოსწავლეები ყოველწლიურად ერთვებიან ანაკლიის **„მომავლის ბანაკის“**

პროექტებში. კონკურსში **„რა ვიცით ჩინეთის შესახებ“** ჯილდოები მოიპოვეს მე-10 კლასელებმა. კავკასიის უნივერსიტეტის პროექტში **„ბუნება მბრძანებელია“** ავიღეთ მე-2 ადგილი. **„დებატკლუბში“** გამართული თამაშის **„რა? სად? როდის?“** ჩემპიონია მე-

14 სკოლის გუნდი **„ტიტანი“**. **„სამოქალაქო ინიციატივების პლატფორმის“** მიერ ჩატარებულ ესეების კონკურსში „ონლაინ“ ეტაპი წარმატებით გადალახა მე-10 კლასელმა **ლიკა ხიზანიშვილმა**, 15 წარმატებულ ნაშრომში მოხვდა და გადაეცა სერთიფიკატი, წიგნები.

სკოლამ წარმატებით უმასპინძლა 10 ფრანგ მოხალისე პედაგოგს. პოპულარულია სკოლასთან არსებული ინსტრუმენტული ჯგუფი **„ებანი“**, რომელსაც ჰყავს ნიჭიერი ხელმძღვანელი **ირმა დევაძე-გარდაფხაძე**.

მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ფესტივალ-კონკურსში **„ოქროს დელფინი“** – 1 ადგილი, **„ჩემი ხატია სამშობლო“** – გრან-პრი, **„შენ ხარ ვენახი“** – ლაურეანტის წოდება და გრან-პრი, **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** – ლაურეანტის წოდება, **„ქალთა დღისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი“**, **„ზამთრის ფესტივალი“**, **„მშვიდობა ბავშვებს“**.

სპორტულ ღონისძიებებში შთამბეჭდავი მიღწევებია: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფეხბურთის ტურნირში – ფინალი, მაგიდის ტენისში – ფინალი, პოლიციის თასი ფეხბურთში, სადაც გავიდნენ სამეულში. გამარჯვებებია კალათბურთში.

კარატეს კლუბ „ალმასის“ დიდი მიღწევა იყო ქუთაისში, მე-3 კლასის მოსწავლე **ბექა ჭინჭარაულმა** აიღო თასი, ოქროს მედლით და დიპლომით. მე-7 კლასელ **ალუდა ციხიშვილს** გადაეცა 8 მედალი, აქედან 5 ოქრო; მე-3 კლასელი **სერგი მხითარიანი** 7 მედლიდან 4 ოქროს მფლობელია.

აი, როგორი სასწავლო-შემოქმედებითი მჩქეფარე ცხოვრებით ცხროვრობენ მე-14 სკოლელები.

ასეთი მუშაობით სასწავლო წლის დასასრულს საამაყო შედეგებს ველოდებით.

ესაუბრა ბორის ევგენიძე

ძეძი ხერეთელი

გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა, –
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! –
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ენახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“

„ლამპარი“ — შემეცნებული ცოდნა-აღზრდის სანიმუშო კერა

„ჩვენი რეკლამა ჩვენი კურსდამთავრებულებია“

ამ საგაზეთო მასალის ასეთი სათაური რეალურ ასახვას წარმოადგენს იმ საქმიანობის შედეგს, რასაც დაუღლელად ეწევა კოლეჯი **„ლამპარი“**, რომელიც თავის დროზე დაფუძნდა როგორც საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების სკოლა.

იგი დაარსდა 2001 წელს და მისი დამფუძნებელია ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნოდარ ნოზაძე**, ღირსების ორდენის მფლობელი სასწავლო-სამეცნიერო დარგში. დირექტორი კი **ნუკრი ნოზაძე**.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სკოლა **„ლამპარს“** მიენიჭა ავტორიზაცია 2012 წელს.

სკოლა აქტიურად არის ჩართული **„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“** პროცესში. 9 მასწავლებელი სერთიფიცირებულია.

სკოლაში აქტიურად ინერგება მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა კონკურსში, თუ ოლიმპიადებში. საუკეთესო მოსწავლეები ჯილდოვდებიან წახალისების სხვადასხვა ფორმით.

„ლამპარში“ დაარსების დღიდან გაღრმავებულად ისწავლება მშობლიური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხო ენები. კერძოდ, ინგლისური ენა – პირველი კლასიდან, რუსული ენა – პირველი კლასიდან, სტანდარტზევით კი, ხელოვნების ისტორია და უნარ-ჩვევები.

სკოლა **„ლამპარი“** აღჭურვილია თანამედროვე ლაბორატორიით და შესაბამისი კაბინეტით. კეთილმოწყობილია კომპიუტერული კლასი მუდმივი ინტერნეტით, ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, სააქტო და სპორტული დარბაზები, ხატვისა და ქორეოგრაფიის სტუდია. გახანგრძლივებული დღის რეჟიმში დაწყებითი კლასის მოსწავლეები დამატებით მეცადინეობენ.

„ლამპარში“ მოღვაწეობენ დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგ-მასწავლებლები: **მარინე ჩინჩალაძე** (დაწყებითი განათლება), **მადონა ბარამია**, **თამარ ჩიქოვანი** (ქართული ენა-ლიტერატურა), **ნანა მიქავა**, **ნინო მახარობლიძე**, **ალა ჭარელაშვილი** (მათემატიკა), **სოფიო შამათავა**, **ვალერია გემაზაშვილი** (ინგლისური ენა), **ია შარიქაძე** (რუსული ენა), **თინათინ უზნაძე**, **ნანა ბეგიაშვილი** (ისტორია), **შორენა მახარაშვილი** (ბიოლოგია), **ანა კანდელაკი** (გეოგრაფია), **ვიქტორია ბერიძე** (ბუნებისმეტყველება), **ლელა კვიჟინაძე** (ფიზიკა), **სვეტლანა გეთიაშვილი** (ქიმია), **ანა ყელბერაშვილი** (მუსიკა), **ანა ნოზაძე** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) და სხვები. ისინი სისტემატურად ატარებენ სანიმუშო, საჩვენებელ გაკვეთილებს, პრეზენტაციებს.

სკოლაში არის 6 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურის – გამგე **მადონა ბარამია**, მათემატიკის – **ნინო მახარობლიძე**, ისტორია-გეოგრაფიის – **თინათინ უზნაძე**, უცხოური ენების – **სოფიო შამათავა**, ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის – **სვეტლანა**



გეთიაშვილი, დაწყებითი კლასების – **მარინე ჩინჩალაძე**.

სკოლას გადაეცა პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი), ხოლო ქალბატონ **თინათინ უზნაძეს** შესაბამისი სერთიფიკატი. ქალბატონი თინათინი წარდგენილია წლის საუკეთესო პედაგოგის ჯილდოზე.



სკოლა **„ლამპარის“** მოსწავლეები წარჩინებით გამოდიან სხვადასხვა სახის ოლიმპიადებში. **„კინგსის“** გამარჯვებულები არიან: **გიორგი გოგნაძე**, **დავით თოდუა**, **საბა მაკასარაშვილი** (V კლასი), **გვანცა კობახიძე**, **ანი მუნჯიშვილი** (XII კლასი). **„კინგსის“** ოლიმპიადის გამარჯვებულები არიან ასევე **გიორგი ნოზაძე**, **მარიამ კანდელაკი** (VI კლასი). მოსწავლეთა თავისუფალი ოლიმპიადა **„მერლოკის“** გამარჯვებულები არიან: **გიორგი ნოზაძე** (VI კლასი), **მარიამ ბარსონიძე**, **ანა ყურაშვილი** (XI კლასი). **„ჯენიუსის“** მათემატიკის ოლიმპიადის გამარჯვებულია **გიორგი გოგნაძე** (V კლასი). **„რობნსონის“** საერთაშორისო ასოციაციის ოლიმპიადის (ინგლისური ენა) გამარჯვებულები არიან **გიორგი ნოზაძე** (VI კლასი), **გიორგი კანდელაკი**, **ვაჟა ყაულაშვილი** (VIII კლასი), **ცოტნე ხანგოშვილი** (XI კლასი).

აქ სწავლობენ საამაყო ფეხბურთელები: **ცოტნე ხანგოშვილი** – არის საფეხბურთო გუნდ **„მერანის“** ფეხბურთელი, **თამაზ კენკებაშვილი** – საფეხბურთო გუნდ **„ვიტჯორჯიას“** ფეხბურთელი.

სკოლა **„ლამპარის“** კურსდამთავრებულმა **ნიკოლოზ კევლიშვილმა** სწავლა ამერიკაში გააგრძელა. **მარიამ ბარსონიძე**, **ანა ყურაშვილი**, **ნიკა მესხაძე** და **ნიკა მეგენეიშვილი** (XI კლასი), **გვანცა კობახიძე**, **ანი მუნჯიშვილი** (XII კლასი) აქტიურად ჩაერთვნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროექტ **„საშობაო სკოლის“** ტრენინგ-სემინარებში.

ხშირად ეწყობა შემოქმედებითი საღამოები. მოეწყო **„წიგნის დღე“**, სადაც ჩატარდა წიგნების გამოფენა-გაყიდვა და შეხვედრა მწერალ **დავით ტურაშვილთან**. **„ლამპარში“** იმდენი წარჩინებული მოსწავლეა, ყველას ვინ ჩამოთვლის. ვერც იმათ ჩამოვთვლით, ვინც სკოლა მისი დამთავრების შემდეგაც ასახელა.

სწორედ ამიტომ ამბობენ ამაყად: **„ჩვენი რეკლამა, ჩვენი კურსდამთავრებულებია!“**

რომან მოსეშვილი

P. S. ეს ყველაფერი – წინსვლა და ტრიუმფი ძლიერი მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციის თავდადებული, შემოქმედებითი შრომის შედეგია. დაგელოცოთ მარჯვენა, მეგობრებო! ახალ-ახალი გამარჯვებები არ დააყოვნებს.

„ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს

გაიხარეთ, 160-ე ბაგა-ბაღლებო!

აქ ცეროდენების ზღაპრული „ოაზისია“

ამ საბავშვო დაწესებულებას, თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ესთეტიკური აღზრდის კერა“, რადგანაც აქ ყველაფერი ძალიან ლამაზი, თვალშისაცემი და მშვენიერია. გარეგნული იერ-სახის გარდა, თბილისის 160-ე საბავშვო ბაგა-ბაღი გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. აქ ცეროდენებს ნამდვილად მოუხარიათ და მშობლებიც უსაზღვროდ კმაყოფილები არიან.

ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი, ენერგიული და უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი **ციალა კოხოძე**, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ბავშვები და მოწოდებით პედაგოგია. იგი ბაღს დაარსების დღიდან, 32 წელიწადია მართავს და ვინ მოთვლის, ამ ხნის მანძილზე, რამდენი თაობის აღმზრდელია, რამდენ პატარას დაულოცა გზა სკოლისაკენ.

ქალბატონი ციალა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის. იგი ბუნებით ესთეტია და სურს, რომ მის ირგვლივ, ყველაფერი მოწესრიგებული და ჰარმონიული იყოს. ამიტომაც თავს არ ზოგავს, რათა ბაღში იყოს იდეალური გარემო, კომფორტი და სისუფთავე. დირექტორს მხარში უდგას ბაღის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. ისინი თავდაუზოგავად შრომობენ, რათა პატარებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან. აღსაზრდელებს, დედობრივ მზრუნველობასთან ერთად, შემოქმედებით უნარებსაც უვითარებენ. ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ზეიმები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები. ბაღს ემსახურებიან შესანიშნავი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები, რომელთა დამსახურებაა, რომ პატარები ფილარმონიის დიდ სცენაზეც

გამოდიან..

ბაგა-ბაღის ეზო პატარა „ოაზისია“, რომელსაც ამშვენებს ნაირფერადი სათამაშოები და მრავალფეროვანი მწვანე ნარგავები.შენობაში შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ შესანიშნავი დიზაინით გაფორმებული ინტერიერი და დერეფნები, რომელსაც ალამაზებს ათასგვარი ყვავილები, თვალსაჩინოებები, ნახატები, აპლიკაციები და საინტერესო ნაკეთობები. ეს ყველაფერი კი, აქაური მესვეურების ნახელავია. როგორც გვითხრეს, თვალსაჩინოებების განახლება წელიწადის დროების მიხედვით ხდება და ამ პროცესში, პედაგოგებთან ერთად, პატარებიც მონაწილეობენ. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი აბსოლუტურად, მოწესრიგებულია, გარემონტებულია სველი წერტილები, საბავშვო ოთახები, საძინებლები, საკონცერტო დარბაზი და სხვა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ ბევრი რამ გაკეთდა: ჩატარდა მიმდინარე რემონტი, შემოტანილი იქნა სათამაშოები, მეთოდური ლიტერატურა და სხვა. კიდევ ბევრი რამ გაკეთდა. რაც შეეხება კვებას, როგორც სხვა ბაღებში, აქაც იდეალურია: დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა.

მოკლედ, აქაურობას, ერთი შეხედვითაც ეტყობა მზრუნველი დიასახლისის ხელი და ამიტომაც არის, რომ ბაღმა არაერთ წარმატებას მიაღწია. იგი დასახელებულია დედაქალაქის, ერთ-ერთ საუკეთესო, საბავშვო დაწესებულებად და მიღებული აქვს უამრავი სიგელი და სამადლობელო წერილი.

ციალა კოხოძე: 160-ე ბაღს, 1984 წლიდან ვხელმძღვანელობ. დავამთავრე თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. თავდაპირველად, 48-ე სკოლაში ვმუშაობდი და იმ პერიოდში, ჩემი შვილი დამყავდა საბავშვო ბაღში, საიდანაც, ხშირად თვალცრემლიანი ბრუნდებოდა... ამდენად, კარგად გავეცანი ბაღის ,,სამზარეულოს'', სადაც ბევრი რამ არ მომწონდა. აი, სწორედ მაშინ დავისახე მიზნად, რომ ჩავდგომოდი სათავეში საბავშვო დაწესებულებას და შემექმნა ისეთი გარემო, რომელიც მოსაწონი იქნებოდა აღსაზრდელებისთვის, მათი მშობლებისთვისაც, სადაც პატარებს არათუ დაეზარებოდათ ბაღში მისვლა, არამედ პირიქით, სიხარულით გამოიქცეოდნენ. ბავშვი მუდამ უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული – ბედმა გამიღიმა და მომეცა საშუალება, რათა ჩანაფიქრი

სრულად განმეხორციელებინა. მუდამ ვცდილობდი ბაღი ყოფილიყო მშობლისთვის იმედის და ნუგეშის მომცემი, მათი ლამაზი თავშესაფარი. და ბედნიერი ვარ, აქ პატარების გაცისკროვნებულ სახეებს რომ ვხედავ, მშობლები მადლიერებას რომ გამოხატავენ. ეს ბაღი ჩემთვის იმდენად მშობლიურია, საკუთარი ოჯახივით მიყვარს, ძალ-ღონეს არ ვიშურებ იმისთვის, რომ იყოს კომფორტი და პატარებს აქ გატარებული წლები ცხოვრებაში სასიამოვნო მოგონებად დარჩეთ. სურვილი მაქვს, რომ ჩემს შემდეგაც ბაღი აქაურმა კადრმა, პროფესიონალმა მმართველმა ჩაიბაროს. სხვათაშორის, თანამშრომლები საგანგებოდ მყავს შერჩეული. ისინი შესანიშნავად ერკვევიან სკოლამდელი აღზრდის საკითხებში, იციან ბავშვების ფსიქოლოგია და ამავე დროს, არიან შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულები, მოწესრიგებულები, თვალხატულები. მოგეხსენებათ, პატარებს მოსწონთ კარგი გარეგნობის, სიმპათიური მასწავლებლები და ჩვენც ამ პრინციპით ვარჩევთ

თანამშრომლებს.

ბაღი მუშაობს გუნდური პრინციპით. ყველა თანამშრომელი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს და სუფევს მეგობრული ატმოსფერო. ისინი, სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ, მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს კითხულობენ... ასე რომ, აქ სულ შემოქმედებითი პროცესია, ყველაფერი თვალისმომჭრელია და ვცდილობთ, პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ.

ბაღი, ჩართულია სასკოლო მზაობის პროგრამაში, სულ 15 ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიებისგან შედგება, ჩარიცხულია 530 აღსაზრდელი. ასევე, გვყავს 11 შ.შ.მ აღსაზრდელი, რომელთანაც მუშაობს სპეც-პედაგოგი, ფსიქოლოგი და კარგ შედეგებსაც ვაღწევთ.

ბაღს ემსახურება ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც მკაცრად იცავს სანიტარულ წესებს და ზრუნავს პატარების ჯანმრთელობაზე. გვყავს საკმაოდ, მრავალრიცხოვანი გუნდი, სულ 78 თანამშრომელი, რომლებსაც შესანიშნავად აქვთ გათავისებული თავიანთი უფლება-მოვალეობები. მინდა, ბაღის მთლიანი კოლექტივის მიმართ უდიდესი პატივისცემა გამოვხატო და საჯაროდ ვუთხრა მათ მადლობა, გვერდში დგომისთვის და თავდაუზოგავი შრომისთვის.

სულ მალე კი, 160-ე ბაღი, სამი ათეული წლის იუბილეს გრანდიოზულად აღნიშნავს... ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ ბაღის მესვეურთ და ყველა ქალს ვულუცავთ დედის დღეს!

მზია გოგოძე

ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ მარტმა კუდი მოიქნიოს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდება. სულ ახლოს ისმის გაზაფხულის სუნთქვა, ბუნების მეჯლისი. მალე უფრო დამშვენდება და გახალისდება ისედაც ზღაპრული სამყარო ცეროდენებისა – 31-ე ბაგა-ბაღი. დედაქალაქის არცერთ ბაგა-ბაღს არა აქვს ასეთი ვრცელი, ბაღნარად ქცეული ეზო. ეზო ხომ ბავშვების ყველაზე დიდი სიმდიდრე და სიხარულია.

ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ აქ ცუგრუმელები, მშობლიური გარემო, დედობრივი ზრუნვა-ალერსი, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონე – აქ ყველაფერია. კმაყოფილი არიან მშობლები და ყოველივე ამ სიკეთეს, აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად, ქმნის და განაპირობებს ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, შემოქმედი დირექტორი ბაგა-ბაღისა **თეა ეფრემიძე**. იგი ახალმოსულია, მაგრამ ყველაფერს ახლებური იერსახე უკვე შესძინა.

– მშობლებისა და ყველა თანამშრომლის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებთ ქალაქის მერიას და ბაგა-ბაღთა სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას** თანადგომისათვის. მათი დახმარებით მოვაწესრიგეთ ინფრასტრუქტურა, კერძოდ, გამოიცვალა წყალგაყვანილობა, უფრო კეთილმოეწყო დარბაზები, გალამაზდა ინტერიერი, განვაახლეთ ინვენტარი, შემოვიტანეთ თვალსაჩინოება, სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა, სათამაშოები, – განაცხადა დირექტორმა. მართლაც, აქ ყველგან თოჯინები იცინიან. ბაგა-ბაღის ესთეტიკურ იერ-სახეს იკითხავთ? „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გამოცდილ, შრომისმოყვარე მოადგილეს დირექტორისას **ლალი ბერაძეს**.

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს კი უნარიანად და შედეგიანად უძღვებიან მეტად გამოცდილი სიახლისმაძიებელი მეთოდისტები: **ნათია ჯოხარიძე** და **ნანი გუდაძე**. პროფესიონალ აღმზრდელებთან ერთად მათი დამსახურებაა, რომ სიახლე – **„სასკოლო მზაობის პროგრამა“** წარმატებით ხორციელდება.

როგორ ცხოვრობთ, 31-ე ბაგა-ბაღელებო?

ზრუნვა – ალერსი მუდამ თქვენთანაა

ივნისში სასკოლოდ ყოველმხრივ მომზადებულ-ადაპტირებულ, ნიჭიერ ორასამდე ცუგრუმელას ზეიმით გზას დაულოცავენ პირველი კლასისკენ.

ასე რომ, 31-ე ბაგა-ბაღი ქვეყანას მომავლის მშენებელ თაობას უზრდის. ვინ იცის, ამ შემადგენლობიდან მომავალში ვისი ნიჭი და უნარი გაიელვებს ცის კაბადონზე. აქედან აფრინდებიან სახელოვანი მომღერლები, მოცეკვავეები, მსახიობები, მხატვრები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და სხვა.

და ყოვლეივე ამის შემოქმედი, **დალი ბეჟიტაშვილი, ლალი ავსაჯანიშვილი, ნანა სუთიაშვილი, თამარ ქარჩაიძე, მარიამ ჩადუნელი, ნაირა ჭიქავა, ნინო სიმონიშვილი, ნანი ყელაურიძე, ირენა ილურიძე, ბელა შალიკაშვილი, ნატალია კოსტავა, ეკა ყიფშიძე, ხათუნა ბერიძე, ელისო გოგიჩაიშვილი, მზია პატაშური, თამილა პეპანაშვილი, ზინა სულთანიშვილი, მაკა ცინცაძე, მარი ფხაკაძე, ნანა გელდიაშვილი, მზია ლევანიძე, ია აბულაძე, პელაგია აღაშვილი, მაყვალა ქოჩლაძე, ლალი გოგლიძე, ხათუნა მაჩაიძე, ნინო წიკლაური, ესმა კაციტაძე.** თანაშემწეები: **მაია დოკვაძე, ლეილა ადუაშვილი, იზო გურგენიძე, ზიზო დეკანოზიშვილი, ნათელა ელიაშვილი, თამარ მეზვრიშვილი, დოდო გომურაშვილი, მაკა ნატრაძე, მარი სხირტლაძე, ნაზი ლომია, ნანული ქართველიშვილი, დონარა რუსიშვილი, მარი ხუციანიძე, ნატო იანტბელიძე, რუსუდან ბაგრატიონი, მზია ბურდული, ლალი გაბრიელაშვილი, იამზე ამირიძე, ლია მაისტრენკო, მანანა ჯამასპიშვილი, გულნარა აჩელაშვილი.**

ვინ უფაქიზებს სულს ცეროდენებს? ვინ უნერგავს მათ ხელოვნების სიყვარულს? ვინ ახალისებს და ალამაზებს ბაგა-ბაღის ცხოვრებას? ვინ და გამოცდილი, ნორჩების მეგობრები, მუსიკის პედაგოგები: **ნინო რაჭველიშვილი, ლია ჭანკვეტაძე, ნანა ჭავჭანიძე, ნონა მეცხვარიშვილი,** ეს პედაგოგები ასევე ცეკვასაც ბრწყინვალედ ასწავლიან.

ნორჩების ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგანან გამოცდილი ექიმები: **ველმირა ნეფარიძე** და **დალი ხეოშვილი**.

ბავშვებში უნარ-ჩვევების ნებისყოფის აღზრდა-ჩამოყალიბებისთვის მონდომებით და შედეგიანად მუშაობს გამოცდილი ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილი, პროფესიონალი ფსიქოლოგი **მაია წერეთელი**. მას მხარს უმშვენებს ასევე გამოცდილი ფსიქოლოგი **ნატალი ნავროზაშვილი**. მათი საქმიანობა თვალსაჩინო და ნაყოფიერია. ქების ღირსია სპეცპედაგოგი **თათია აბრამიშვილი**, რომელიც ბევრს ზრუნავს პატარებზე.

უთუოდ დასაფასებელია კვალიფიციური ლოგოპედების: **ლილი ქავთარაძისა** და **ანასტასია გელაძის** ნაყოფიერი მოღვაწეობა. ისინი ბევრს ზრუნავენ ნორჩების გამართული მეტყველებისათვის.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობა წარმოუდგენელია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ეკა ილურიძისა** და საქმისმწარმოებლის **ბელა ივანისელის** გარეშე. მათ მონდომებასა და გარჯას მაღალ შეფასებას აძლევს დირექტორი **თეა ეფრემიძე**.

მეტად პოპულარულნი არიან გემოვნებიანი მზარეული **ციალა ბალიაშვილი** და მისი დამხმარეები: **იზო პეტრიაშვილი, ნანი მიმინოშვილი, ნელი ომიაძე, მეგი ქსოვრელი**. მათგან დამზადებულ გემრიელ კერძებს გემრიელად მირთმევენ ცეროდენები.

დიდი მადლობა შრომისმოყვარე მებაღეებს: **არჩილ რაზმაძეს** და **გურამ რამიშვილს**. ამხელა ეზოს ხომ მებაღის მადლიანი ხელი სჭირდება?

„გაზაფხულო! გაზაფხულო! რა კარგი ხარ, რა კარგი!“ – მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით მალე იმღერებენ ცუგრუმელები. მალე სიცოცხლე და ხალისი, იმედიანი განწყობილება და ტკბილმშობლიური მელოდიები მოეფინება სანზონის 31-ე ბაგა-ბაღს.

მაია მიშველაძე

გამარჯობათ, 84-ე ბაგა-ბაღელებო!

როცა მშობლები და პატრონები კმაყოფილნი არიან

ცუგრუმელების ეს ზღაპრული სამყარო მეტრო „ღრმაღელესთან“ ლიახვის ქუჩაზე მდებარეობს. ბაგა-ბაღში პატარების აღზრდა-სწავლებისთვის, მშვენიერი პირობებია შექმნილი, რაც მათი დიასახლისის, ანუ დირექტორის **ნანა მაჭარაშვილის** თავდადებული ღვაწლის შედეგია. ქალბატონი ნანა, უკვე 9 წელიწადია, წარმატებით ილვწის ამ დაწესებულების გაბრწყინებისთვის. მას საოცრად უყვარს პატარები

და თანაბრად აფასებს თითოეულ თანამშრომელს. ასევე გულისხმიერია ყველა მშობლის მიმართ.

გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ნანას მისვლის შემდეგ, ბაღი შესამჩნევად აღორძინდა და გაძლიერდა. უფრო ესთეტიკური გახდა მისი იერ-სახე. ეზო გამწვანებულია და მოწესრიგებული. შენობა კი, გარემონტებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ცეროდენებს უტარდებათ საინტერესო აქტივობები და თემატური გაკვეთილები. ბაღი აქტიურად არის ჩართული სასკოლო მზაობის პროგრამაში.

ასე რომ, 84-ე ბაგა-ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი კომფორტულად და ბედნიერად იგრძნონ. ამიტომაც არის, რომ მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება. ამჟამად, აქ 8 ჯგუფია და 43 თანამშრომელი იღვწის.

დირექტორის თქმით, ბაღს მხარში უდგას და ყოველმხრივ ეხმარება თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**. ქალბატონი ნანა, მართლაც არ იშურებს ძალისხმევას და ენერგიას, რათა ბაგა-ბაღი იყოს მოწოდების სიმაღლეზე.

დირექტორის მოადგილე გახლავთ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე – **ციური ბენაშვილი**. იგი მშვენივრად ასრულებს თავის დაკისრებულ მოვალეობას. ბაღს ემსახურება შესანიშნავი ფსიქოლოგი **ლია ჩაჩუა**. აღსაზრდელების წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ ლოგოპედს **მარინა ოსეფაშვილს** და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებს (მეთოდისტებს) **ლიანა ბედიანაშვილს** და **გულიკო ხუციშვილს**. სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი – **ნინო ტერაშვილი** გახლავთ შესანიშნავი პროფესიონალი და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება. კეთილშობილი და არაჩვეულებრივი მუშაკი გახლავთ საქმისმწარმოებელი **შორენა მათიაშვილი**.

პატარებზე ასევე ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **მედეა ქსოვრელი**. იგი ცუგრუმელებთან სათუთი და სათნო დამოკიდებულებით გამოირჩევა. მკაცრად იცავს სანიტარულ ნორმებს და მშობელთა მეთვალყურეობით, ბავშვების ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევს. ამიტომაც, დიდ შექებასაც იმსახურებს.

ცეროდენების აღზრდისთვის და ნორჩების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, მართლაც ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფს, რაც გამოცდილი აღმზრდელების დამსახურებაა. ესენი გახლავთ: **მანონი ბოლქვაძე**, **ეკატერინე ტაველიძე**, **სოფიო თუშიშვილი-ჭოლოკავა**, **ირინე ბერიაშვილი**, **ანა ყირმელაშვილი**, **მანანა საჩალელი**, **ირმა მამრიკიშვილი**, **თეა შაპოვალოვი**, **დალი ჯაფოშვილი** და **ეკატერინე ყიოფშიძე**. ისინი გამოცდილები, პროფესიონალები არიან, რომელთაც ბავშვების აღზრდაში დაუზარებლად ეხმარებიან თანაშემწეები: **შორენა ლურსმანაშვილი**, **ანეტა ნადირაშვილი**, **მაია აბრამიშვილი**, **ციცინო კიკვილაშვილი**, **ნათელა მერებაშვილი**, **მარინა მაისურაძე**, **თინა ქავთარაძე**, **თამარ ლაზუაშვილი**, **ქეთინო ლომოური**, **ინგა ბურდული** და **სალომე მინდიაშვილი**.

ბაგა-ბაღს ემსახურება მაღალკვალიფიციური ტექპერსონალი, რომლებიც მუდამ ზრუნავენ პატარების უსაფრთხოებაზე. ესენი არიან: დარაჯი – **რასულ კურბანოვი**. ქებას და მადლობას იმსახურებენ დამლაგებლები: **იზა ხარიტონაშვილი**, **ინგა ოკრიბელაშვილი**, **ინგა ხარატიშვილი** და **მარინა წიკლაური**. ასევე, მეეზოვე – **ლალი მაღრაძე**, მუშა – **ვახტანგ კაკალაშვილი** და მებაღე – **გელა ვეშაგური**, მათი დამსახურებაა, რომ ბაღში მუდამ სისუფთავე და წესრიგი სუფევს.

დირექტორმა, **ნანა მაჭარაშვილმა** მაღალი შეფასება მისცა მზარეულის **ქეთევან ბურდულის** და მისი დამხმარის **ინგა მერეკლიშვილის** შრომას, რომლებიც გამოირჩევიან კარგი კულინარიით და სისუფთავით. მათი დამზადებული კერძები ძალიან უყვართ

პატარებს.

მუსიკის მასწავლებელი **მარინა ბრეგაძე** კი, ნამდვილად არის ბაგა-ბაღის ცხოვრების გამახალისებელი. იგი შემოქმედებითად მოღვაწე პედაგოგია და გამოირჩევა აქტიურობით. ცეროდენებს ქართულ ცეკვებს ასწავლის, მაღალპროფესიონალი პედაგოგი **ინეზა კუპრეიშვილი**. იგი ამასთან ერთად, არის ყველა ზეიმ-კონცერტის სულისჩამდგმელიც.

84-ე ბაგა-ბაღის კოლექტივის და აღმზრდელების საქმიანობით კმაყოფილი არიან მშობლები და მთლიანად უბანი. რადგანაც აქ თანამედროვე სტანდარტებით მუშაობენ. სასიხარულოა, რომ პატარებსაც და მშობლებსაც ბაღის მთელი კოლექტივი უყვართ. დიახ, მათ აქ სიხარულით მოუწევთ გული. გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ, 84-ე ბაგა-ბაღელებო!.

მზია გოგოძე

სახალხო განათლება +

იოსებ ნონეშვილი

დედა

დედავ – სიცოცხლის დიდო საწყისო.,
დედავ – ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“.
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.

შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით.
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.

მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბავშვივით.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.

დედავ – სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ – ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

გიორგი ლეონიძე

„დედა ენა"

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი,
მგალობელი ფრინველი.
იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა,
ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი –
შავი კაბით გაზრდილებს,
გახუნებულ ლეჩაქით.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

გარდა თავისი პროფესიისა

ყველაფრისმცოდნეები

ნეტავი ვიცოდე, რომელ უნივერსიტეტში არსებობს **ყველაფრისმცოდნეობის** ფაკულტეტი? (ფილოსოფიის ფაკულტეტი არ გეგონოთ). არადა, ამ ფაკულტეტდამთავრებულებს, ზოგს ეკრანიდან და ზოგს პირადად, ბევრს ვიცნობ, მათ რომ ვუსმენთ (მხოლოდ ვუსმენთ, თორემ მათი ნააზრევი ჟურნალ-გაზეთებში ან წიგნებში არასოდეს წაგვიკითხავს), უნებურად ვფიქრობთ: ამ პიროვნებას ექვსი ან შვიდი ფაკულტეტი მაინც ექნება ერთდროულად დამთავრებულიო. პარლამენტი გინდა, აქცია გინდა, ბრიფინგი გინდა, მაშინვე წამოხტება მეცამეტე გოჭივით და ყველაფერზე რიხიანად თავის **წონად** „აზრს" გამოთქვამს. გაგიხარიათ, ყველაფრის ექსპერტია: ფიზიკაც იცის, ქიმიაც, ბიოლოგიაცა, ეკონომიკა თავისი ფინანსებით, სამართალი. თავისი კრიმინალისტიკით, სოფლის მეურნეობა, მედიცინა, ჟურნალისტიკც არის, დიპლომატიც, ყველაფერზე დაობს, ყველას „ჭკუას ასწავლის", ყველაფერში კომპეტენტური და კვალიფიციურია, **გარდა იმ პროფესიისა, რაც დიპლომში უწერია**.

ასეთები ბევრზე ბევრი არიან – ქალებიცა და კაცებიცა. ხალხში ხუმრობენ: კენჭი (ქვა მტრისას) მაღლა რომ ააგდო, ან პოლიტოლოგს დაეცემა, ან – ექსპერტსო.

თუ თქვენი ნება იქნება, მკითხველო, ერთ მათგანს **შვიდ ბრუნვაში** გაგაცნობთ, ოღონდ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, მის გვარ-სახელს ვერ გეტყვით.

ეს **კაცი** „მარადმწვანე" პარლამენტარია. ამ **კაცმა** უნივერსიტეტში ფილოლოგის დიპლომი აიღო ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობით. ამ **კაცს** თავის პროფესიაში კვალიფიციური აზრი არასოდეს გამოუთქვამს – არც ჟურნალ-გაზეთებში, არც წიგნებში, არც სამეცნიერო კონფერენციებში. მისთვის უცნობ, ჩაუხედავ თემებსა და პრობლემებზე კი – რამდენიც გინდათ, იმდენი ულაყბია. წამოხტება პარლამენტის სხდომებზე, მიტინგებზე, აქციებზე, ყველგან ცხვირს ყოფს, იცის, თუ არ იცის და „ვიღაცის" საამებლად თავისი ჭკუით „**წონად**" სიტყვას ამბობს. ტელევიზიის ეკრანში მუდამ არის გაჩხირული, ლამის იქიდან გადმოვარდეს.

ამ **კაცის** გაკეთებული საქმე, როცა ის პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, არავის უნახავს. თავისი კომიტეტიდან არცერთი პრობლემის განხილვის ინიციატივით არ შესულა პარლამენტში (მხოლოდ თავის სპეციალობაში, თორემ სხვა სალაყბო საკითხებზე, იცოცხლეთ!). ამ **კაცით** პარლამენტი ვერ იამაყებს.

ერთხელ ამ **კაცად** მომეჩვენა სხვა, ზუსტად მისი მსგავსი ჩამრგვალებული პარლამენტარი. შე კაცო, როდის მოეშვები მატრაბაზობას?

– მოსე შეჩვენებულო, რაღა მე ჩამავლე ხელი? „სხვაც მრავალია ჩემფერაო", – გაბრაზდა ეს **ყველაფრისმცოდნე კაცი**.

– იმად ჩაგავლე, რომ ისინი შენ გგვანან და იმათ – შენაო. ყველაფრისმცოდნეების ტიპიური სახე ხარ, ჩემო იმანო.

ნეტარ არიან მორწმუნენი, რომელთაც სწამთ ასეთი ყველაფრისმცოდნეებისა. არადა, რაჭველებს ეკუთვნით ასეთი ბრწყინვალე შეგონება: **პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო**.

მოსე მწერალი

სიტყვა 108-ე საჯარო სკოლის მრავალშვილიანებზე

აპოლოგია სამმაგი გმირობისა

არც ისე შორეულ წარსულში მრავალშვილიან დედებს გმირის წოდებას ანიჭებდნენ. ორმაგ გმირობად კი საზოგადოებრივ შრომაში გამოჩენილი თავდადება ითვლებოდა. ალბათ, ბევრს ახსოვს პოეტის სტრიქონები: **„მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლით ერი!"**

დღეს, ოჯახის ინსტიტუტზე მიტანილი იერიშის პირობებში (გამგები გაიგებს) დედებს, მითუფრო მომავალ დედებს, მესამე გმირობის გამოჩენა, კერძოდ, დედობრივი ღირსების დასაცავად მტკიცედ დგომა მართებთ, **„ვითარცა შუშანიკს"**.

„ვისა ჰყავს ყველაზე მეტი მრავალშვილიანი პედაგოგი?" – დედის დღესთან დაკავშირებით ამ კითხვით თბილისის უამრავ სკოლას მივმართეთ. გამოვლინდა ჩემპიონი. ეს გახლავთ 108-ე საჯარო სკოლა.

დირექტორმა **მაია მღვდელაძემ** ყველას მიულოცა დედის დღე – 3 მარტი და გულთბილი სიტყვები არ დაიშურა მრავალშვილიანთა მიმართ. მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ და პირველ რიგში, უნდა მივულოცო 3 მარტი ჩემს თანამემამულეს, აფხაზეთიდან დევნილ ბიოლოგიის სერთიფიცირებულ მასწავლებელს, VIII^{ა} კლასის დამრიგებელს **ნანა ლაცუზბაიას**. იგი მამულს ოთხ შვილს უზრდის.

ასევე, როგორც ვაჟა იტყოდა, ოთხი შვილის ლამაზად აღმზრდელი დედა გახლავთ რუსულის ჩინებული მასწავლებელი, კათედრის გამგე და პროფკავშირის თავმჯდომარე, XII^{ბ} კლასის ხელმძღვანელი, 23 წლის სტაჟის მქონე **მანანა ზივზივაძე**.

დირექტორის მოადგილე **ნინო არობ**ელიძე, სამი შვილის დედაა, 19 წლის სტაჟიანი რუსულის დიდებული მასწავლებელი. აქტიურია და შემოქმედი, სკოლაში ნერგავს სიახლეებს, სწავლასწავლების თანამედროვე მიდგომებს, უნარიანად წარმართავს საორგანიზაციო და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებს, ავტორიტეტულია. სამ-სამი შვილის **„ლამაზად"** აღმზრდელები და **„ღმერთად საცნობი"** დედები არიან: **მადონა წულუკიძე** – II^{დ} კლასის დამრიგებელი, 11 წლის სტაჟიანი, სერთიფიცირებული პედაგოგი; **მარინე ყურშიტაშვილი** – II^{ბ} კლასის დამრიგებელი 16 წლის სტაჟით **ხათუნა ქოჩორაშვილი** – III^{დ} კლასის დამრიგებელი; **მარინე ჭიკაძე** – ისტორიის მასწავლებელი, VI^{ბ} კლასის ხელმძღვანელი, გამოცდილი 20 წლის სტაჟის მქონე: **ევგენია საიდოიანი** – ქართულის ბრწყინვალე მასწავლებელი, კათედრის გამგე, 38 წელია რუსთველის ენას აყვარებს მოზარდებს; **ლარისა სარქისიანი** – მათემატიკის გამობრძმედილი მასწავლებელი, 35 წლის სტაჟის მქონე IX^{ბ} კლასის დამრიგებელი.

– ყველა პედაგოგი ჩართულია პროფესიული განვითარების სქემაში. კარგად ფლობენ სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს, მეთოდებს, რასაც იყენებენ განათლების ხარისხის ასამაღლებლად. არიან ობიექტურები, აწყობენ სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებს, ექსკურსიებს, უვითარებენ მოსწავლეებს ლოგიკურ აზროვნებას, კვლევისა და ანალიზის, შემოქმედებითობის უნარს. პოზიტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და საზოგადოებასთან, – ასე ახასიათებს ამ პედაგოგებს სკოლის დირექტორი **მაია მღვდელაძე**.

ოჯახურ სიამტკბილობას და ბედნიერებას გისურვებთ, მრავალშვილიანო მასწავლებლებო!

ბორის კინდღელი

დილა მშვიდობისა, 162-ე ბაგა-ბაღელებო!

ჭეშმარიტი მამულიშვილები აქ ფრთიანდებიან

თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოქროყანაში, წიწვოვანი ტყის ახლოს ბავშვების ჟრიამული უერთდება ფრინველთა გალობას. ამ ფრიად სასიამოვნო გარემოში 1984 წლის 1 ივნისს გაიხსნა 162-ე ბაგა-ბაღის ტიპიური შენობა, სადაც ბინადრობს 4 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფი 130 აღსაზრდელით, თავისი სააქტო და სპორტული დარბაზით, მდიდარი საბავშვო ბიბლიოთეკით. ფართოდ გაშლილი ეზოთი, რომელიც არაჩვეულებრივი საშუალებაა ბავშვების ჯანსაღი ცხოვრების მოტორული აქტივობისათვის.

სულ რამდენიმე თვეა, რაც ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო სივრცეში ცნობილი პედაგოგი **ნინო წიკლაური**. მისმა შემოქმედებითმა ხასიათმა და საუკეთესო მენეჯერულმა უნარმა მნიშვნელოვანი სიახლეები დანერგა ბაღის ცხოვრებაში. **ნინო წიკლაური** და მისი მოადგილე ქალბატონი **მანანა პავლიაშვილი** პროფესიით ბავშვთა ფსიქოლოგი, ბაღის არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად თავდაუზოგავად იღვწიან პატარა აღსაზრდელების კეთილდღეობისთვის. ბავშვები პერიოდულად სტუმრობენ **ნოდარ დუმბაძის** სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრს. საერთაშორისო წიგნის კითხვის დღეს მოეწყო ექსკურსია **ბაკურ სულაკაურის** გამომცემლობაში. აქ პატარებს საინტერესოდ უამბეს თუ როგორ იქმნება თითოეული წიგნი, როგორ მზადდება დასაბეჭდად მათთვის საყვარელი ფერადი ილუსტრაციებიანი ჟურნალები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ პატარა სტუმრები საინტერესო წიგნებით დაასაჩუქრა.

გამომცემლობის შემდეგ კი სტამბა „favorite“-ს ვესტუმრეთ. პატარებს იქაც დიდი სიყვარულით უმასპინძლეს, დაათვალიერებინეს სტამბა და აჩვენეს, თუ როგორ იბეჭდება წიგნები.

162-ე ბაგა ბაღის კოლექტივი დიდ მადლობას უხდის ქალაქ თბილისის მერიას და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსს ბატონ **თემურ თორდინავას**, მისი გუნდის მთლიან შემადგენლობას გატარებული რეფორმებისათვის. მოსაწონია განახლებული მენიუ, რომელიც შეიცავს მრავალფეროვან ჯანსაღ პროდუქტებს. ცდილობენ **„სასკოლო მზაობის პროგრამის“** დანერგვას, განახლებულია ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობილია ეზო. 162-ე ბაგა-ბაღში წარმატებით ხორციელდება რეფორმა, სისტემატურად ტარდება ღია, საჩვენებელი მეცადინეობები მშობელთა ჩართულობით. ასევე, ხშირად ტარდება მხიარული სტარტები, ეწყობა თემატური პროექტები. ყოველი გატარებული დღე პატარებისთვის არის საინტერესო და ნაყოფიერი.

მომავალი თაობის აღზრდის მრავალმხრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებები ხსენებული ბაგა-ბაღის კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია. ბაგა-ბაღის ზემოთხსენებული ხელმძღვანელების – დირექტორისა და მისი მოადგილის გარდა, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ფსიქოლოგი **მერი ხუბუა**; აღმზრდელები: **ლიანა მებაღიშვილი, ციცინო დვალიშვილი, ელისო პაპაშვილი, დალი დაბრუნდაშვილი, მანანა ტუგულაშვილი, მაკა ცუხიშვილი**; ძიძები: **ნორა მებაღიშვილი, ნანა კახაბრიშვილი, ნინო იორამაშვილი, ლალი ჩხუტიაშვილი**; ბაგა-ბაღის საქმის მწარმოებელი **მაია პაპაშვილი**; ჰიგიენისა და ჯანმრთელობის კოორდინატორი **იზა კობახიძე**; თავისი საქმიანობით გამორჩეულია პროფესიონალი მზარეული **რუსუდან წიგნაძე**; სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ნარგიზა ქურდაძე**; ტექნიკური მუშაკები: **ლია ნიაზაშვილი, ნათია ბახტაძე, მანანა ავალიანი, ალექსანდრე ედიშერაშვილი, თემურ მკალავიშვილი.**

საგულისხმოა აღინიშნოს ბაგა-ბაღის იმ სტრუქტურის შესახებაც, რომელიც მნიშვნელოვან საკოორდინაციო მუშაობას ეწევა კოლექტივის საქმიანობაში. ეს გახლავთ კარგად ორგანიზებული სათათბირო. მის შემადგენლობაში შედიან პედაგოგები: **მანანა პავლიაშვილი** (თავმჯდომარე) და **მაკა ცუხიშვილი**, მშობლები: **მედეა კახნიაშვილი** და **ეკა პაქსაშვილი**.

სკოლებში ახლოვდება სასწავლო წლის დასასრული. ზაფხულში ასევე ხდება ბაგა-ბაღების ყოფილი აღსაზრდელების გამოშვება. ახალ 2016/2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან ძირითადად 162-ე ბაგა-ბაღის ყოფილი აღსაზრდელებით შეივსება თბილისის 28-ე და 50-ე საჯარო სკოლების პირველი კლასები.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია კი ჭეშმარიტად გამორჩეული ბაგა-ბაღის კოლექტივს უსურვებს შემდგომ წარმატებებს ჩვენი ხვალინდელი დღის სასახელო მამულიშვილების აღზრდის საქმეში.

რომან მოსეშვილი

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 5 (4526)
9 მარტი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009